


ხელის-მოწერა:

ტფილისის, «ივერიის» რედაქციაში  
მოქმედის ქუჩაზე, შიოშვილის სახლების 5-  
ში, სახლი № 5.

ქუთაისის, ასტონ ლორთქიფანიძის ბიბლი-  
ოთეკაში.

განცხადება მიიღება ქართულსა და რუსულს  
ენებზე.



«ივერიის» ფასი

ერთი წლისა გაგზავნით გ. გ. მ. 7 მ. —  
სახვედრის წლ-სა . . . . . 3მ. 50კ.  
თითო ნომერი . . . . . « 15კ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწო-  
რებს და შეამოწმებს დასაბეჭდად გამოცხადებულ  
წერილებს.

ს ა ჰ ო ლ ი ც ი კ ო და ს ა ლ ი ც ე რ ა ც უ რ ო გაზე თ ი .  
გამოდის ხუთშაბათობით

მსურველთ შეუძლიანთ გამოიწერონ «ივერიის» პირ-  
ველს მკათათვიდამ ვიღრე მომავალ პირველს იანვრამ-  
დე. ფასი ნახევარ წლისა სამი მან. და ათი შაური.  
ტფილისში მცხოვრებთათვის ხელის-მოწერა მიიღე-  
ბა უფ. ჩარკვიანის წიგნის მალაზიაში, ქაშვეთის ქვე-  
მოთ ლუქნებში, № 2. გარეშე მცხოვრებთათვის  
აღრესი შემდეგია: ВЪ ТИФЛИСЬ, ВЪ РЕДАКЦІЮ га-  
ЗЕТЫ «ИВЕРІА».

პირად მოსალაპარაკებლად რედაქცია მიიღებს  
ოთხშაბათობით დილის ათი საათიდან ვიღრე  
შუადღის ორ საათამდე.

საძიებელი: I. საქართველოს მატინანე: წერილი ქიზიუ-  
დამ. სასოფლო შკოლა თელავის მხარეში. ფრონის ხეობიდან  
(„ივერიის“ კორთეს.). ერთი სემინარიის ბედი.—II. საზო-  
გადოებრივი მიმდინილება.—III. მიტრიდატ დიდი პომპეი სა-  
ქართველოში.

საქართველოს მატინანე

მიზიპი. 10 თიბათევეს, (ივერიის კორთეს.) ორიოდე  
სიტყვა მინდა მოგახსენათ იმ იშვიათ და საძწუნარო  
ამბავზედ, რომელიც მოხდა ქიზიუში, სახელდობრ სოფ.  
ბეკურდისეს, ამ თვის ოთხს.

მოგახსენება, ჩემო მკითხველო, რომ ვეკვლა საქმეს  
აქვს თავისი შესაფერი საზღვარი; იგი აქვს აგრეთვე  
მოთმინებასაც. შარშანდელმა მადონის გამოყვანამ და  
მისთვის ხარჯის მიტემაზე ნათლად დაგვანახა თუ რამდენ-  
ნი ბოროტობა იხმარეს მამასახლისებმა და რამდენად შე-  
აწროეს ხალხი თავიანთ უსინდისო ქცევით. ამის და-  
სამტკიცებლად დღესაც იხივით სოფელში მოხაზარ  
ბიჭებს, რომელთაც თავიანთი შვილები სოფლის

ჯამაგირით გაუგზავნიანთ მილიციაში, მაგრამ მათი ჯამა-  
გირი გი ჯერ სრულდებით არ მიუღიათ,—მაჩივარ ში-  
რებს მეთქი, რომელთა მშობლები უოველ ყვამ მამასახ-  
ლისის კარებზედ სდგანან და სთხოვენ თვისთა შვილე-  
ბის სკადრ ჯამაგირს; მაგრამ, მაგიერ მშვიდობიანის ზა-  
სუხისა, მასუსად დახმდას ისმენენ და დღე-დღეურობათ  
ამით კმაყოფილდებიან. ხალხისათვის ამგვარი მანებელი  
განკრება მთავრობამ ნათლად დაინახა და ამიტომ  
უფრო გონივრული განკარგულება მოხდინა. ეს განკარ-  
გულება მდგომარეობს იმაში რომ უმილიციის გამოყვა-  
ნა დაქირავებით არ შეიძლება, არამედ კენჭის ყრით  
უნდა მოხდესო. ეს განკარგულება შეიქმნა სიღნაღე-  
ლებისათვისაც აუცილებელ ვადად. ეს ახალი ამბავი ამ  
ჩვენ მწუწნავ მოვარდებებს არ მოეწონათ, ამიტომ დაი-  
წყეს გაძრამ-გამძრამი, რომ როგორმე ეს აუცილებელი  
ვადი თავიდან გადაეყვინათ. ამისათვის შირველში ისინი  
შეუდგნენ ფულებს შეკრებას ბადლების დასაქირავებლად.  
მაგრამ ეს თავიანთი გველური აზრი ამით ვერ ახსრუ-  
ლეს მაზრის უფროსის უარის თქმის გამო. ეს პრეული  
განხრახნა რომ ვერ შეასრულეს, შეიძებ დაიწყეს ვადის  
თარხნა მოსაფიქრებლად, რომელიც მალე მიიღეს კიდევ  
მთავრობისგან. წარმოადგინეთ, ჩემო მკითხველო, ამ  
დროს, როდესაც სიღნაღელების ვადა ეძლევათ, მამნვე  
გვლებს მოსთხოვენ კენჭის ყრა. ეს სიღნაღელე-  
ბისათვის მინიჭებული ვადა სოფლის მოვარდე და-  
კაცებს სხვაფორივ აუხსნიან თავიანთ მამაცრებისთვის,  
ქ. ი., ვითომ სიღნაღელებისათვის სრულდებით უზატე-  
ბიანთ მილიციის გამოყვანა და მათ მაგიერად სოფლე-  
ლებმა უნდა ივისრონო.

ახლა გავახსენათ თუ როგორ აუხსნეს მამასახლი-  
ებმა ახალი მილიციის გამოყვანა, როგორც სჩანს, მამა-

სასღისებს ვერ აუხსნიათ რიგიანათ და გასაგებათ ხალხისთვის სახლი მილიციის გამოყვანა და ხალხს გადაუკეთებია თავისებურათ და დაურქმევია „საღდათობა“. რასაკვირველია, კენჭის ყრის დროს საჭირო იყო სია, რომელშიაც ჩაწერილნი უნდა ყოფილიყვნენ 18 წლიდან 30 წლამდე უმწველ-გატყები. ეს სიები გადამოუწერიათ ვამერკლიის აღწერის სიებიდგან, სადაც, როგორც ვიტყვით, ბევრი შეცდომაა წლოვანებაში. ამის გამო კენჭში მოჭყენენ იმისთანა უმწველებიც, რომელნიც 15-16 წლისაც არ არიან, ბევრი კი 32 წ. გამოდიოდა 25 წლოვანათ. ამასთან მოჭყენენ კენჭში დედის ერთანი და ღვინის ერთად ერთი მამაკაცი. თუმიც ამ უკანასკნელებს ვერ წაიყვანდნენ მილიციაში, მაგრამ კენჭში კი მანინცა და მანინც უნდა მოჭყოლოდნენ. ამასასხლისებს ესეც რიგიანად ვერ აუხსნიათ ხალხისთვის, რომელიც დაწმინდა ილია ამისათვის უკმაყოფილი.

ხალხის უწყსოების მიზეზიც ყველა ეს არის. ხალხს კვლავ მოეთმინა ამოდენა გაჭირვების ატანა და აგრეთვე თავის მამასასხლისებს უსამართლო ქრევა, და ამისათვის წამოსულა წავდენიბე სოფელი სიღნაღში მანინის უფროსთან თავიანთ დარღების სასწინელოდ და გასაგებათ. მაგრამ ეს უფროსი ვერ ენახათ და წასულიყვნენ იქ, სადაც ეგულებოდათ, ე. ი. ს. ბაკურციხეს თ. რევაზ ვანნაძესთან. მე თვითონ შემხვდა ეს ხალხი, რომელიც ყვიროდა «კენჭი არ გვინდა, თუ ნუ ბავს ხელწითეს ქუდზედ ვატი დაიძახსო და სიამოვნებით ვავლართ.» მე ამათ მოკლეთ უჩნაე - ნუ აშოგოდებით მეტეი, მშვიდათ სთხოვეთ უფროს, მთავრობასთან შემწეობა გაგიწიეთ, მეტეი, და უწყსოება არა მახსდინოთ რა მეტეი. ამასეც ზოგიერთმა წამოიძახა: «არა ბატონო, ღმერთმა დაგვიფაროს უწყსოებისაგან, ჩვენ ამისთვის სულაც არ ვაინებოთ; ჩვენ მივდივართ ვაკეებთან რვენ ნახალხის ჩვენი გაჭირვება და ვთხოვთ შემწეობა გაგიწიოს მთავრობასთან.» ეს ხალხი იყო უარბლოთ და ასე გაშინჯე, ჩემო მკითხველო, რომ ზოგს წვირიც არ ეჭირა ხელში. ნუ დავივიწყებთ, რომ ამოდენა ხალხში როგორც დაწმინდენი და პატრიარხის იყვნენ, ასე ვიდრე გულ-ჩქარნი და გულ-მსუბუქნიც. როგორც შევიტყე, ამ უკანასკნელებს ამჟამად და წინდაუხედავად დაუწყიათ ღაბაჩავა და ბოლოს უპატრობაც მიუყენებიათ თ. რბედიანისთვის, მანინის უფროსისთვის და სხვა თ.

რევაზ ვანნაძის სტუმრებისთვის. ამისთანა ურიგო ქრევისთვის ზოგიერთ დაუქმევიათ ბუნტი, და მოუთხოვნიათ ბატალიონები დასამშვიდებლათ, მაგრამ ასეინი უამთოთც ამ საღამოთივე დამშვიდდნენ. მამასადამე გაბედვით შევიკლიან გსთქვათ, რომ აქ ნასახიც არ არის ბუნტისა, არამთუ ნამდვილი «ბუნტი» ყოფილიყოს, როგორც თქვენი ბუნტი ზოგიერთნი. ეს უბედური შემთხვევა ესამოკნებთ ვაჭრებს და ამიტომ ესეინი უფრო გულ-მსუბუქლეთ და პატივად ამ უწყსოებაზედ, როგორც ბუნტზედ.

ეს ჩვენი უსამოკნო საუბარი, ჩემო მკითხველო, შეგწვიტოთ აქ და დანარჩემზედ შემდეგ ნამერბი მივიღებამარკოთ.

მნახველი.

ამავე საგანზედ „დროების“ კორრესპონდენტი იწერება, სხვათა შორის, შემდეგს:

„როგორცხეხებათ, ეს თითქმის ათი წელიწადია, რა ქიზიყი დაღარბდა და დასაწყლდა ცუდი მოსავლისაგან და შიმშილისაგან. წელს კი ჩინებულა, უხვი მოსავლი და ხალხი გაცხადებით მიეშურება მინდვრის სამუშაოთ.

«ამისთანა დროში, საუბედუროთ, იმათ დაწყდათ თავს ურძებით გამოსვლა ხაზინის ბანკებით. მარტო ქიზიყის სოფლებიდან 200 ურძეზე მეტი გაიყვანეს. ეს კიდევ არაფერი, თუ სინიღისთანა გაუყვანათ ხალხი მბეკავაზე; მაგრამ უბედურობა ის არის, რომ სოფლის მოხლეკები (მამასასხლისები და სხვ.) აქაც იმდენს ჩადიდდნენ, როგორც მილიციონერების გაკვანას დროს. მდიდრებისაგან ქრთამებს იღებდნენ, ანთავისუფლებდნენ და ღარიბები კი, რომელთაც თითო უღელს ხარის მეტი არა გახსნათ რა, გაჭყვადათ; გაჭყვადათ ისეთი ხალხი, რომელიც უმიდისდაც სულამოძრობილია შიმშილისა და ჩვენი მხრის სომეებისაგან.

«აი, ის წინამორბედი გარემოებანი, რომელთაც გამოხალხი გაბრახებული იყო და რომელნიც იყვნენ ნამდვილი მიზეზი 4 ივნისის შემთხვევისა.

«თვითონ 4 ივნისის ამასეი აი როგორ მოხდა:

«ჯერ ქვემო და ზემო-მანხანში-მოგროვდა ხალხი და გადაწყვიტეს, რომ კენჭის-ყრის ნება არ მისცენ, მოითხოვონ უფროსისგან სია გამოსაყვან მილიციონერებისა და მეტი თავის ამორჩევით წარუდგინონ კაცები.



«4 ივისის სოფ. ანაგაში (სიღნაღიდან რვა ვერსზე იქნება და ბაკურციხიდან სხუთ ვერსზე) მოგზავდა 2,000 კაცდინ სხვა და სხვა ახლად-მხლად სოფლებიდან; ამით 500-ზე მეტი დედა-კაცები იუვნენ. დიდი უაყანი და მოლაზარაკება ქქონდათ; კენჭის-ყრით ხალხის გაყვანა უღვეურებოდა არისო,“ იმხდენ და ამის ნება არ მივცეთო.

«ამ დროს აქ გამოიარა ტროიკით სიღნაღის უფდის უფროსმა, ბარონ ტიხენგაუზენმა; ის მიდიოდა სოფ. ბაკურციხეს იმ განზრახვით, რომ ენახა ალაზნის ჯარების უფროსი თ. სოსიკო ორბელიანი და ეთხროს იმისთვის ორასი უაყანი რუსი, რადგან გაგონილი ქქონდა, რომ ხალხში რადღაც მღვდლარება არისო.

«მაგრამ ხალხმა გაახურა უფდის უფროსი და მოსთხოვა იმას უმადლეს მთავრებისაგან გამოეზანოლიათ — თუ რამდენი მილიციონერი უნდა გამოიყვანონ თითოეულ საზოგადოებისგან.

«უფდის უფროსმა გამოუცხადა ხალხს, თარჯიმნის თ. ანდრონიკოვის შიშით, რომ სიღნაღის აქვს, სიღნაღში აქვს, რომ კენჭის-ყრა უნდა იქნეს და რასაც განიანი თხოულობს, უნდა შეასრულოსო. მაგრამ ამის სიტყვა ხალხს არ ესმოდა, ხალხის სიტყვა ამასა. შეიქნა ერთი ყვირილი, დროალო, მუქარა დაუწყეს... უფდის უფროსმა შეატყო, რომ შეიძლება აქ საქმე ცუდათ გათავდესო და ტროიკისკენ წავიდა, საჩქაროთ ჩაჯდა და ბაკურციხეს გასწია. ეს აუარებელი ხალხი აუდევს იმას ბაკურციხეში მისდა, სადაც ამ დროს დღესასწაულობის გამო, თ. რვაზ ვახნაძესთან მიწვეული იყვნენ: ალაზნის ჯარის უფროსი თ. ორბელიანი, შროკურორის თანაშემწე უფ. გუდომ-ფეკვალიანი, გამოიქცეული უფ. ხოსროვი, თ. ორბელიანის ადიუტანტები და სხვ.

«ხალხი, რომელსაც ქალები მიუძღოდნენ წინ, მიადგა შიდადნო თ. რ. ვახნაძის სახლს და მოითხოვეს, რომ უფდის უფროსი მოგვევითო.

«ი აქ მოხდა ის უწესება, რომელიც თქვენ უკვე უნდა იცოდეთ. დედა-კაცები და მამა-კაცები შეცვივდნენ ხალხში, ნასეს უფ. უფდის უფროსი, სცემეს ჯონებით და ეხლში ათრიეს; თ. სოსიკო ორბელიანი ბაგონიდან გამოაგდეს და ამ დროს ხის ოქისი გაუტყეს, იმასაც ბეჭი სცემეს, სცემეს აგრეთვე შროკურორის თანაშემწეს; უფ. ხოსროვს რამდენიმე წარტყეს, მაგრამ მერე იტყეს და ხელი აღარ ახლეს და სხვ.

«უზადლების დროს, რომ უკვლავ მიწვეულ თ. სოსიკო ორბელიანს და აგრეთვე სხვებსაც ქალები მივარდნენ და იმით დაუწყეს ცემა. ქალებივით გაბრახებულნი იყვნენ, ლეჩაქს იხდიდნენ და ქსურავდნენ თავიანთ ქმრებსა და ძმებს, რომელნიც ამ ცემა-ტყევაში არ ერეოდნენ.

«მთელი მებელი, ჭურჭელი, აკრულებს და სხვა უკვლავი, რაც ვი მოხვდით ხელში თ. რვაზის სახლში, სულ დაამტკიცეს, განადგურეს და გააფუჭეს.

«თვითონ ვი ერთი გრომის სალიწალი არა წაუღიათ რა. ადიუტანტს დაქვითა ვი ერთი დედა-კაცი, ოღონდ დამიფარე და ეს ოქროს საათი და თუშანი თუელი შენ გქონდესო. მერე დღეს ხალხმა საათი და თუელი უკანვე წარმოადგინა.

«ერთი ნახევარი ხალხისა ბაკურციხიდან სიღნაღისაკენ წამოჭვეს უფ. უფდის უფროსს, რომელმაც გამოაცხადა, რომ სიღნაღის აქვს; ის ჩასვეს იქვე ტროიკაში, ორი ბიჭი ჩაუსვეს და სოფ. ანაგაშიდნ მიიყვანეს; იქ ვი გაუშვეს.

მერე ნახევარმა ვი, როგორც ზევით მოვასწავთ, ჯერ თ. რვაზის სახლი აიკლო. მერე აიკლეს ამ სოფლისაკვე მამასახლისის სახლი, აიკლეს აგრეთვე რამდენიმე სხვა სოფლებიც: ანაგის, კარდნახის, საქობოს მამასახლისები, სცემეს რამდენსამე მებატონეს, გააფუჭებულეს ორი მღვდელი და საღამოს თავ-თავიანთ სახლებში დაბრუნდნენ.»

«ამ უმად აქეთკენ სრული მშვიდობა არაა; ხალხი მიხლორში წავიდა სამუშაოთ; ღუბერნატორს განზრახვა აქვს დაიაროს სოფლები და გამოიკვლიოს როგორც ეს საქმე, აგრეთვე საზოგადოთ ხალხის უკმაყოფილების მიზეზი და იმის მდგომარეობა.»

«ამ საქმის თაობაზე, როგორც მითხრეს, ჯერ-ჯერობით 25 კაცდინ არის დატოსალებული.»

ქიზიყის უწესებაზედ, რასაკვირველია, ბევრი რამ არის სათქმელი და სათქმელი. მიმატა თუ არა ეს მოგვქნა, მსხვილია თუ წვრილი საზოგადო საქმეთა მიმდინარეობაში, მაინც თავად საჩინოა და დიხსშესანიშნავი. მაგრამ ვიდრე საქმე დაწვრილებით არ იქმნება გამოკვლეული დაზარალი შეუძლებელია. გარდა ამისა, უნდა წარმოიდგინოთ იმ ადამიანის მდგომარეობა, რომელიც

ეკეპება მხოლოდ გუშინდელის დღით, და რომელსაც დღევანდელი თუ სვალინდელი დღე ისე მოულოდნელად დაეცემა, როგორც ციფანს ჩამოვარდნილი მესი. იგი კაცი იმულებულია ილანარაკოს მხოლოდ მასზე რაც «ისტორიისა» ჩავარდნილია და დროთა ბრუნვის მიერ წაღებული, როგორც შარშანდელი თოვლი. მას ჩვენც იმ წუთის დაუგადოთ, როდესაც დღევანდელი გადიქცევა სვალისდღად.

შვითხველს ესრომება „ივერიის“ კორესპონდენცია, რომელშიაც აწერილი იყო კახის საკვირაო შოლას და გამომქმული იყო გულისათადი სურვილი, რომ სხვა ადგილებშიაც იმ კარი სასწავლებელი იქმნეს გამართულიო. ეს სურვილი, ჩვენდა სასიამოვნოდ, მალე აჭსრულებია მის გამომქმელს: ქართლიდამ გეწიკენ, რომ სოფ. მეჯვრისეში საკვირაო შოლას გაგსნილას, რომელშიაც უმაწვილები სასოფლო მმართველობის წესდებულებას სწავლობენ თურმე. კორესპონდენტი დასწრებას ამ შოლას და შეძღვის სიტყვით გვიხატავს რაც უნახავს: „შეგირდები ჩვეულებრივ შეიკრიბნენ საკვირაო შოლასში და თვითონვე ამოიჩნიეს თავიანთთაგან მამასახლისი, მსაჯულები, გზირები და მწერალი. დანარჩენ შეგირდებს კი შეჭქანდათ ერთი ერთმანეთზედ საჩივარი. ერთმა შეგირდმა, ანტონ გელაქემ, თავის ამხანაგზედ, არჩუაძესზედ შეძღვი საჩივარი შემოიტანა: როგორც მოკესსენებათ კლასში იშვიათად დაგვივარც იმის გამო, რომ ჩემი ძმები მიშლიანო. აი ესლას მოკვიდიო, მაგრამ აქც მოსვენებაში არა ვარც იოსებ არჩუაძესგან, — იგი ხან ხელს წამკრავსო, როდესაც თითს ავიშვებ სოღმეო, ხან თავში ჩამკრავსო. ამისათვის თქვენთან მოკვილო და გთხოვთ, სუდიან-მამასახლისო, განსცდელისგან დამისხენითო; ამ სასწავლებელში მანინც მომასკენონო, ძალიან მინდაო სწავლა. დაუბახს არჩუაძეს, რომელიც დაიმხებს: სუდიან-მამასახლის გაუბარჯოს! მსაჯულებიც ერთის ხმით მიუტებენ: გაგიმარჯოს! ერთი მსაჯული ჭკითხავს: რად უშლი სოღმე სწავლას ანტონ მელაქს, ან რა შურის ძიება გაქვს მასთან? არჩუაძე უბახსუბებს: რა კქნა, შენი ჭირიმე, თვითონ ცუდად შევიდებო და მეც ცუდად გევიდებო; თვითონ დამარტყა და მეც დავარტყი. — მსაჯული: მოწამე გყავს? არჩუაძე: არა, არა მეყვს. — მსაჯული: შენა, მელაქს, შენ კა არა გყავს მოწამე? — მელაქს: როგორ არა,

შენი ჭირიმე, მეყვს სოღომონ გელაქემი. — შემოაწყოთ გელაქემი, რომელმაც დაიწყო გელაქემის გამართლებას. მსაჯული: ფიც ქვეშ შესვალ თუ არა მავის დასამტკიცებლად? შევალო, უბახსუბა მოწამემ. ამ გვარად იოსებ არჩუაძე გაამტყუნეს“.

კორესპონდენტის სიტყვით, ამავე სოფელში მასწავლებელი მოსე ნათაძე დეპოს გამართვას აზირებს თურმე იქაურ თავადების თანაშემწეობით.

**სასოფლო შოკლები თელავის მაზრაში.**

(დასასრული \*)

ს. ალვანის შოკლის მასწავლებლად სემინარიდან მოსული უფ. დ. სარმენტოვი (რუსია). ეს ახალგაზრდა საქართველოს შვილია და ქართულიც კარგად იცის. ეს მასწავლებელი ყოველს ღონისძიებასა ხმარობს, რომ თავისი შოკლას რაც შეიძლება მაღალ ფეხზედ დააყენოს. განათლებით, გულ-მოადგინებით, და სიყვარულით თავის საქმისადმი, ყველას კახეთის სასოფლო შოკლების მასწავლებლებზე მაღლა სდგას უფ. სარმენტოვი. ამისი სიყვარული შოკლისადმი სხვათა შორის იქიდგანს სჩანს, რომ თუმცა მატკრიალურის მხრით დიდს გაჭირებებაშია, მაგრამ ყოველს ღონისძიებასა ხმარობს, რომ შოკლას შესძინოს რაღაც თითონ კი თუნდა დაიკლოს — არაფერი... ჯამაგირსაც კი გერ იღებს ეს ზატიოსანი კაცი თავის დროზე, რადგანაც ამას სხვებსაცაიო სამაზრო ხაზინასთან კა არა აქვს საქმე, არამედ მამასახლის-სუდიებთან. ვინც იცის სოფლის „ანგარიში“, ადვილად მიჭხვდება, რომ ჯამაგირს უფ. სარმენტოვი თავის დროზე გერ ეღირსება. მართლაც და ოთხი-ხუთი თვე გავა, რომ ჯამაგირი გერ ეღირსოს ამ სასარგებლო და შრომის მოყვარე კაცსა. ძლიერ კარგი იქნებოდა, რომ ს. ალვანის შოკლის ფულიც სამაზრო ხაზინაში შეტანილი იყო და იქიდგან კძლიათ ჯამაგირი. ამ საქმის აღსრულება არ არის მწელი მაზრის უფროსი თუ კი მოიწადინებს.

გამოდმა მხარეს ორი ახალი შოკლას გახსნეს: ს. ს. კონდოლში და რუისში. კონდოლში სემინარიდან გამოსული უფ. ხატიკია მასწავლებლად. ამასზედ ჯერ კა სასიამოვნო ამბავი ისმის, და შეძღვეში კი არ გიცო. სოფ. რუის-

\*) „ივერი“ № 22, 1878 წ.

ბიჭში უფ. უიასოვიან, მეთქი. ეს ჯერ-ჯერობით თე-  
 ლაგში დასეიანობს, არ ვიცი კი რად. — მესამე და მეოთხე  
 შკოლები გამოდის მხარში სს. კისისხევი და სხატელ-  
 შის. კისისხევი, თუ არ ვსცდები, და უნიშნავთ ერთი სემი-  
 ნარიდა? გამოსული ემაწვილი, რომელიც ჯერ-ჯერობით  
 ახსად სჩანს. ს. სხატელისა კი რა მოგახსენათ. მხოლოდ  
 ის კი უნდა ვთქვა, რომ რადგანაც ს. სხატელის მცხოვრებ-  
 თა შორის ქართველებიც არიან და თათრებიც, ამისათვის  
 ამ შკოლაში ისეთი მასწავლებელი უნდა გამოიგზავნოს,  
 რომელსაც შეეძლოს სწავლება როგორც ქართულისა,  
 ისე თათრულისაც (სპანსულისა). — ს. ივანთაშვილს აზი-  
 რებენო შკოლის გახსნას. როგორც ქუდავთ, თელა-  
 ვის მარტაში ამ უამად თერთმეტი შკოლას და იმე-  
 დას, რომ ამ ორ-სამ წელიწადს ეოგელ სოფელში  
 გაიმართება შკოლა. გაიმართა და კიდევაც გაიმართე-  
 ბა, მაგრამ რა გამოვიდა? ამ შკოლებს ჯერ-ჯერობით  
 არავითარი საჩუქრები არ მოუტანიათ კახეთისათვის.  
 რა არის ამის მიზეზი? მიზეზი ის განსჯათ, ჩემო  
 ბატონებო, რომ დიდიხანა ბევრჯერ გაუჩივრებდ  
 ქუდავის მასწავლებლებს, როგორც მაგ. უფ. უიასოვიან.  
 თუ დიდიხანა ამისთანა მასწავლებლის გზავნა არ  
 დაიშალა, ჩვენი სასოფლო შკოლები იმავე და იმდენს  
 საჩუქრებს მიატანენ, რამდენიც მიატანეს მამან,  
 რადესაც მღვდლების ხელში იყვნენ. ეს კიდევ არა-  
 ფერი. შკოლები დაიკეტება! ჩვენი ხალხი მართლაც იმ-  
 დენად უკუჩურდის არ არის, რომ „საჩუქრებს“ და  
 „უსაჩუქრებს“ გერ განჩიოს ერთი-ერთმანეთში.  
 მას იმდენი გამჭრანობა კიდევ აქვს, რომ შეიტ-  
 ყოს და გაიგოს — მის შვილს ასწავლიან რასმეს  
 თუ არა; მისი ოფლით ნაშრომი ფული სასაჩუქრებს  
 ხმადება მის შვილებს თუ არა. თუ დაატყო რომ  
 მისი შვილი სახლსაც აკლდება და შკოლაშიც გერასა  
 სწავლობს, მაშინვე გამოიყვანს მას შკოლიდან და  
 თით შკოლის სახელსაც კი მოიპოვებს, და მაშინ  
 კაი-გაგლახით გამართული შკოლა ისევ ძალე დაიხუ-  
 რება... აქედან ცხადათა სჩანს, რომ თუ გლეხი ამ  
 კვარის უხეირობის გამო მოთმინებდამ გამოდის, არ  
 შეგვიძლიან ვსთქვით, რომ ჩვენი გლეხი განათლების  
 წინააღმდეგობა. ამ გარემოებას დიდი ყურადღება უნ-  
 და მიექცეს: დიდის გარჩევით უნდა ამოჩქეულ იქმნეს  
 სასოფლო შკოლის მასწავლებლებს გამოსავლენი სხალ-

გაზდა. საქმე ის კი არ არის, რომ სხალ-გაზდა მხო-  
 ლოდ ნასწავლი და „განათლებული“ იყოს: მან უნდა  
 მოიგოს იმ საზოგადოების გულიც, რომელშიაც იგი  
 მოქმედებს, იმდენი მოხერხება უნდა ქონდეს კაცსა,  
 რომ შეეძლოს შთაგონოს ხალხსა სწავლის საჩუქ-  
 რებსა და საჭიროებს; უნდა გამოვიდეს ხალხში და  
 შეითვისოს მისი ხასიათი, რომ შეეძგ სიმულვილი  
 არ ჩამოვარდეს მის და ხალხის შორის. მოიგონეთ  
 „გლახის ნაშრომის“ მღვდელი. თუ აგრე მოიქცევა  
 მასწავლებელი, უეჭველია, რომ დიდს საჩუქრებსა  
 მოუტანს იგი შკოლასა და თვით ხალხსაც. ამას მე  
 იმიტომ ვამბობ, რომ ზოგიერთი სოფლის მასწავლე-  
 ბელი მხოლოდ ვითხვას და წერას (ზოგი იმასაც  
 უხეიროდ) ასწავლის და ასე ქგონის, ეს არის, ჩემი  
 საქმე აღვასრულეო. საქმე ხასიათის გასწავლასა, ხა-  
 სიათისა!! უხასიათო კაცი, რაც გინდა ნასწავლი იყოს  
 მეთქი, უსარგებლოა და უგარგი... ამისათვის მასწავლე-  
 ბელი ხალხის შინაგანს ცხოვრებაშიც უნდა შედიო-  
 დეს, რომ შეიტყოს მისი კარგი და ცუდი მხარეები,  
 რომ გასწავლოს უკანასკნელი და უფრო ცხადად და-  
 ნახოს ზირველის სიკარგე და უფრო მკვიდრად შეა-  
 ვისოს იგი მას. ცარიელი სწავლა ხალხის გაუცნობ-  
 ლად არაფრად დის მეთქი. მოვიგონოთ გერმანიის  
 სასოფლო შკოლები. იქ ამ შვიდის თუ რვის წლის  
 წინად სასოფლო შკოლებში მასწავლებლებად უნივერსი-  
 ტეტებში კურს შესრულებული სხალგაზდები იყვნენ,  
 მაგრამ საჩუქრებსა მიატანეს რამეიმთ თავით „მხო-  
 ლოდ“ სწავლითა? გერაფერი, თუმცა იმაო ივალური  
 ფილსოფია, მათემატიკა, ბუნებითი და სხვა უმაღ-  
 ლესი საგნები კარგად იცოდნენ. ამათის უსარგებლო-  
 ბის მიზეზი საგნების უცოდინარობაში არ განსდით.  
 მიზეზი ის იყო, რომ მათ არ იცოდნენ ხალხური  
 ენა, ხალხის ხასიათი, ხალხის წმუნება, ჩვეულება და  
 სხვა. ისინი ხალხში იმ ენით ლაზარაკობდნენ, იმ  
 ენით ებასებოდნენ ხალხსა, რომელსედაც უმაღლესი  
 საგნები ქგონდით შესწავლული, და, აბა ერთი მითხა-  
 რით, რას და როგორ გაგებინებდნენ „უბრალო ხალ-  
 ხის“ შვილებსა?! ამ საქმემ ცხადად დაანახვა მთელს  
 კერძებს, რომ სოფლის მასწავლებლობა მხოლოდ  
 სწავლაში და საგნების შესწავლაში როდი ეოფილა:  
 კაცმა თუ იმ საზოგადოების ეოფა-ცხოვრება — ენა,



ჩვეულებას და ხასიათი-ან იცის, რომელშიაც იგი მოქმედობს, ან უნდა იმოქმედოს, რაც უნდა კარგად იცოდეს საგნები, ვერა საბრძოლოების მოტანა ვერ შეუძლიან. მაშ თუ ასეა, რატომ ჩვენ სოფლის მასწავლებლები არა სტადიობენ, რომ გაინონ ჩვენის ხალხის შინაგანი ცხოვრება, რათ ერიდებინ ესენი გლეხებსა?.. სოფლის მასწავლებელთ უნდა იცოდნენ, რომ უამისოთ საბრძოლოების მოტანა შეუძლებელია. დადებით ამ გზას, მასწავლებელთ, დაუახლოვდით გლეხსა და მათ ნახავთ, თუ როგორს ნაყოფს გამოიღებს თქვენი ამ გვარად მოქმედება. მაშ, თუ ასეა, ვახსენოთ ღმერთი და შეუდგეთ ჩვენს კეთილ საქმეს. დაწმუნებული უნდა ვიყვნეთ, რომ თუ გლეხებში ვიშრომებთ, ჩვენი სინიღისი აღარ შეგვაწუხებს და არ წამოგვაყვადრებს: „შენი სიცოცხლე ფუჭად გაატარეო!“ დეკ, „მადლის სწავლის“ პატრონებმა იმხონ: „ჩვენ სამხლვარ გარეთ გვისწავლია, ჩვენ უცხო ენები ვიცითო!“ ვინ ჩვენ, ვინ სახლვარ გარეთ წასვლა და ენების შესწავლა?! ჩვენ დაგვიყოფილდით ჯერ სამშობლოს ენით და მერე ღმერთი შეგვაწვევს. თუ სწავლის პატრონები აღარ მოგვისვენებენ და გვეტყვიან: „ჩვენ უცხო ენები ვიცითო!“—ჩვენ პასუხად ერთი გონიერი ქართული ანდაზა უთხრათ: „გინც სამშობლო ენა არ იცის, რაც გინდა ნასწავლი იყოს, ნაყოფს ვერ გამოიღებს.“ თუნდ ესვე: „მამის სული გაუშვია, პაპის სულს მისდევსო...“ ჩვენ, ჩემო მამიებო, ხალხში ვართ დაბადებული და „ხალხის“ კალთაშივე უნდა დავლიოთ ჩვენი სიცოცხლე. მინამ გვიდგა კი, უნდა ვიშრომოდ და გვერდოთ მხოლოდ „რომ ყოველთვის გამოვადგეთ ჩვენს სწავარელს მამულს“.

დამსაშვილი.

26 მაის 1878 წ.

ფრონის ხეობიდან („ივერ.“ კორპუს.) ჩვენი ქართლი ამ უამად კოხტა პატარადაცავე არის მოთუელი, თავდახურული და დაფერ-უძარულიანებული. ვახუთთან კი იქნება ვერ წამოცუქდეს ბუნების სიმშვენიერით და მოქარგულობით, მაგრამ მანც არც ის არის ღარიბისა და უფერულის ბუნების პატრონი. სიმადლიდგან რომ დახედო ესლა ქართლს, რაც უნდა გულ-გრილი კაცი იყო, მანც აღტაცებაში მოხვალ, მანც თავი სხვა და სხვა ჭრელ ოცნებებით გაგვსება. იქნება მანც გაგვხსნას პურის ჭამისა. რათა? ამის პასუხი ფიზიოლოგიის მოჭკითხე. შეკი მარტო იმას გეტყვი, რასაც ჩემის საკუთარის თვლით გხედავ.

ნახირი თავის დონეზე დადგა და სადამოზე ბურთივით მოგტგვალული ბრუნდება შინისკენ, გრენით და წმწვნით, ზოგიერთა პასაჟის შავირდივით. შუა გაზაფხული გუთნის ხარსაც შეეცყო, ისიც მოკეთდა. აკვან პირველს მამის აქეთა ღამის ხარი დგას. ღამის მესხე კაი ვახშობამდინ ამოგებს და მერე ამოგა თუ არა ხარი-პარი ვარსკლავი დაეერება საქნელი და აიშლებს სამოვრად. კაი ღამის მესხეს ვერ მოასწრებს ეს ვარსკლავი და ვერც ღამი-ხარი გაეპარება. გუთნი-დედას ძრეველ უეგარს ამისთანა ღამი მესხე და შერისხამს იმას, რომელსაც არ უძოგვობა და არ დაუძღვია საქნელი ხარი-პარიის გამოჩენიდან, რადგანაც გუთანი მოსცდება და ქვეყანა დაამშვეგაო.

რა ბევრი ვაგაჭიანურო — ქვეყანა ხარობს და დარბაზობს, ერთ ყოფაშია და რაღაც სინქვიტე უტყობს ყველას. ურები, მამლი ვივილისის მოძუნძულებენ მშიერ მგელებსავით ოსაროებზედ რომელნიც ფრონის ბოლოებზედ \*\*) აქეთ გლეხებს გამართული, რომ აქ იყიდონ,—რაც შეიძლება იაფად, ახალი თევზი და დუქნებში განჭვიდონ—რაც შეიძლება ძვირად. ესლა ხომ ლურჯობაც განადებულია. სულ ყველა განადებულია და ამ გლეხს კი არა ეშველა რა.

\*\*) ორი უზონც: ერთი თვინეგსა და ერთი უეცსა, ანუ თიღვისა.

არის ფიქრში მუდამ და ადგია ქვეყნის შემნახველს საქმეს; ბუტბუტობს რაღასაც, თითქო ღორჯულობს ისევ ოაგის ბედზე, თავის ბედ-შავს იღბალზე. გაიგონოს მანინ ვინმე ამის ღორჯვა, ყური მანინ დაუგდას ვინმემ მის გულის კვინასს, ტანჯვით გამოძახილს ამის მიღში.

გაზაფხულდა თუ არა, დაიწყო გლეხმა ერთი თაგვანწირული, უწვალოდ ბრძოლას ბუნებასთან. იქ ვინახებს მისწვდა, აქ ზატვიის ზიდვა მობინდობს სასიმინდოებში, მაგრამ ხანი კი აღარ არი და! საქონელი შარშან ჭირმა გასვრიძა, იმ ოხრად დასარჩენმა. სვიდვაც მხელაა, მამასისხლობაა. ვის გაუგონა ერთი ხანი და რვა თუქანი, უღელი მოზვერი და თორმეტი თუქანი. ვინ მოსწრებია ამ ნაირ საქონლის სიძვირეს? ეს ხომ ასე, მაგრამ ამ ფულსაც რომ ეტყობა იაფობა! რომ არ გაგონილა და არა ქნილა ასეთი ათ-თუქინანების გახშირება! მაგრამ გასაცალი კი ისეთი აქვს, რა ნაირიც ხუთს თუქანს ქქინდა. ფული გაიფიქრა, საქონელი კი გაძვირდა. ფული გააიაფა ომმა, გააზშიდა ნდობის ბილეთები, მაგრამ ნდობასაც რომ ილაჯი გამოელის, ძალდატანებით გადის უხლას. ასე, უსაქონლობა გლეხისათვის ბრძოლაში, ჯარში უტყვიანობაობასთან ერთად სჭრის. ფული რომ მოაქუნა გლეხმა, ეს-ეს არის ღმერთმა მიშველაო, ის კი არა თუ ეს ბირჟის თამაშობა ყოფილა და ცარიელი აფიოტაჟი. ისე გამოეცალა გლეხს ფულები უსაჭინოების საქონლის სვიდვაში, რომ უხლას თაგვის თამაშობასაც ნატრულაობს. მიჭყო ხელი ისევ იმ თაგვანწირულს ბრძოლას ბუნებასთან. დათესა ახალი თესვები და აყენა მიწაში დამარხული ვაზი \*). ყვეგანსა-რანნი ორხელა გადაგდო, როგორც უგარგისი იანადი და გამართა რვა უღლიანი, მამა-ზაპური გუთანი. დახნა სასიმინდოები, დათესა და დაფარცხა კიდევ. ახლას ხელი მიჭყო სამკრძისოდ ხუნას—ზურისას და ძველ-

თესლი ქერისათვის. მოართო და შეკამაზა ვენახები ახალ ზატანძალსავით. გასხლა, გაბარა, შესარა და შეეყვლა. მაგრამ ჯერ სადა ხარ, მკითხველო, ეს ზირგელი აგტია ამ საშინელის დრამისა. ახა, თუ ქვის გული არა გაქვს, მაშინ შეიძაგრე ცრემლი, როცა ბოლო და უკანასკნელს აკტში ეს სულ ხელ-ცარიელი რჩება და ზინს ადებს. ღმერთმა დალოცოს იმედი, თორემ რა აძლებინებს გლეხს ამ უსარგებლო ბრძოლაში ბუნებასთან. რატომ სული არ ეგვეთებათ? მაგრამ გლეხის იმედი გმირულია და ძრავალ-მოძითმენი.

გ. გოლორია.

ერთი მიცვალებულის ბედი

(ნაწყვეტი პატარა მოთხრობიდან.)

ღმერთო, რა არის ეს გაუთავებელი ბრძოლა კაცის ცხოვრებაში! რატომ ან რადის დასდებს იარაღს, რადის ჩამოეცლება მოწინააღმდეგე? ბრძოლა ყოველგან და მუდამ, რა სამაგელი სანახაობა! კაცი კაცზე იწევს მოსაკვლელად. 28 საუკუნეა და სულ ბრძოლა, გაუთავებელი ომი შინაც და გარეთაც, ამ წუწკ აჩსებასთანაც, იმ საზიზღარ სულდგმულთანაც! დღესაც ომი, ხვალაც, ზეგაც.... მუდამ ყურყური, მუდამ ჯავს უკან ამოტრეზვა, თოფის გრიალი, სისხლში მოფანთხალე კაცი!!! ამ ბრძოლას კიდევ წინ სვლას ეძახიან, დიდს წიგნებსა სწერენ და შესხმით ამსებენ ხალხთა ისტორიას, ხომ არ გაგიყდა ეს ხალხი?! საკვირველი რამ ყოფიდა ეს კაცის ბუნება, რაღა კაცისა და რაღა კაცობრიობისა! იმის ნდობას და სურვილს ბოლო არა ქქინია, რაც გინდა მანდობო და კიდევ სორც-შესხმულ-ჭყო ცხოვრებაში, მანინ კიდევ ათასა სხვა დაგებადებ, ათასი სხვა სურვილი გაგვლეძიებს და შენგან განხორციელებას თხოულობს. პირველის სურვილის განხორციელებაზე ეწვალე და იტანჯე იმ ჭაზრით, რომ აი ბედნიერი ვიქნებო და, ის კი არა თუ, უფრო უბედური გახდო, უფრო ბევრი სურვილი სხვა დაგებადა და ახლას იმართვის უნდა ეწვალე და იტანჯო. რა იყო

\*) მკაცრი ზომისის გამო მიწაში უფლავენ ჰქვას ვაზის ქობლობი.

იმ დასაწყისს ღმერთს, რომ სუვერენული სრული  
 ტყვეობა; ქვეყანა შემოკლებილი ყოფილიყო და შევსებული,  
 როგორც ქმნილება თვით სახესი და სრულისა. მ-  
 რამ შესაძლებელი არ არის ესაო, სრული არა კეთდება რა.  
 კვი კაცი იქნები ისე გააკეთებ სქმესა, რომ ნაკლებ-  
 განობა არა ჰქონდეს რა; ისე დაწმიდე წულიო, რომ  
 აღარა ჭეჭვი არ გამოაჩინოს ზედ მიერსგანა; ისე  
 ასხენი რამე მოკლენა ბუნებისა, რომ იცოდე იმისი სულ  
 უკანასკნელი მიზეზი, ეს *pia desideria* უწინდელის და  
 წინდელის მეტაფიზიკებისა. მაინც კაცს რათ დაჭედა  
 ბუნებიდგანვე ბოლო და მოკლენილთა უკანასკნელი მი-  
 ზეზეების ძეგნა? რათ მეტაფიზიკობს კაცი? რად ექებს  
 იმ სრულ ბედნიერებას, რომელსაც თავის დღეში ვერ  
 ჰხვდები ვერც თავისათვის, ვერც საზოგადოებისათვის,  
 რადგან ერთი უმოკრესად შეუძლებელია. ჩხრკვა, ძეგნა  
 თავი და თავის მიზეზებისა, ზიდილი უმაღლესი სიკ-  
 თისადმი, ოცნება ქვეყნის სრულს ბედნიერებაზე, ფილო-  
 სოფია ძველსა და ახლის საუგუნოებისა, რესპუბლიკა  
 პლატონისა, პოლიტიკა არისტოტელისა, უტოპია თომას-  
 მუჩისა, სიზმრები ფურციუსი და გატიუბა სენ-სიმონისა  
 სულ მეტაფიზიკა არ არის?

ერთ გიჟდება მეტის-მეტის ფიქრით ეს ფილო-  
 სოფისი „ზოზიტივისტს“ რომ ეძახის თავის თავს? უნდა  
 ქვეყანა გაბედნიეროს და თავისთანა გიჟები ღმერ-  
 თად განადგოს. აი ეს ფულტონი სველეთის ორთქლ  
 მავალით, სტეფენსონი — ხმელეთის ორთქლ-მავალით,  
 აზრიატი — საქსოვის მამინით. რამდენი ეწვალეს და  
 იტანჯნენ, თავადაც გასაწყლდნენ და ქვეყანაც უფრო  
 გასაწყლეს. აი ეს მთელი ხალხი, ერთ-თ თავი მოუყრია.  
 რას ბოტავს და რას ღელავს ზღვასავით? ხან ამ გი-  
 დეს მიაწყდება და ხან იმას და გასავალი ვი არსათ აქვს.  
 აკერ მოჩანს ვიკლეფი, გუსი, ლიუტერი მიზეზნი ღე-  
 ლისანი. აი ხალხის ღელვის ზვირთმა და ქაფმა რა  
 ნაირად დიტანა და ჩანთქა პაპის ზვიადობა და სიდიდე,  
 მისი სურვილი ქვეყნის დამორჩილების და დამონებისა.  
 როგორც ნადგურდება თითო თითო უამისა და ქვეყნის  
 ცოდვისაგან გაშავებული მღვდელ საერთოდანი მებატო-  
 ნების სასახლეში. მაგრამ ხალხის ღელვამ გასავალი ვერ  
 ნახა, გლდოსანი ვიდე ვერ გაამტკიცა. საწყალო ხალხა!

... აი ვიდე ღელვა, აი ვიდე საფრანგეთის ხალხის

დიდი ღარღარა! 100,000 კაცი ერთს ღელსა კვდება...  
 . . . . .  
 . . . . . ჰაი, ფარსიველო ვოლტერი! ჰაი, ჰაი!  
 ბედ-ქუდა რუსსა! თქვენ დაგსჯით მომავალი ამ უგიდუ-  
 რისის სისხლის ღვრისათვის. სისხლით გინდოდათ გა-  
 ბედნიერება კაცობრიობისა, აურებელი სისხლის ღვრით  
 გინდოდათ მოგეშორებისათვის ქვეყნისათვის ის ბებრუცუნა  
 ანანკე, დედა მშაანს რომ გვაყვირებს. თქვენ გასცემთ  
 პასუხს ჩამომავლობას, მრისხნე მშანსელების რამესპი-  
 რისა, სისხლ-მწოველა მარტისა და უკულო დანტონის  
 გამა. ხალხი კვლავ მოტუედა თქვენთან; კვლავ ტყვე  
 გასძვრა თქვენის გულისათვის, ბურჟუაზიის გამეფების-  
 თვის. კვლავაც ტუედა ხალხი, კვლავაც ატუეებენ ეს  
 ძვლები კრავას ტყვეში. როგორ დამკრებან ხალხში და  
 აღელვებენ ატუეებენ „მომბით, თანასწორობით, თავი-  
 სუფლებითა“. მაინც მოატუეეს ეს უგიდი ხალხა; ეს მჭრ-  
 ლი იარაღი ჰქვიან გაიმკრას ხელში. მოატუეეს ვრთხელ,  
 მოატუეეს ბოტრეჟერ, მესამეჟერ. იმდენი ქნეს, რომ  
 გააქლეს და დაბდღვრიალეს ის ცუცხლი, რომელიც  
 კაცის გულში მუდმივ ანთია; მუდამ ამეტაფიზიკობს კაცს,  
 ოცნებას და აღტაცებას აძლევს, უტოპიის გუნძულზე  
 გაჭევის. რას ანთია ეს ცუცხლი? ვიდეუ ხომ არ უნდა  
 უკანასკნელად დაიბდღვრიალოს, რომ გადასწვას ქვეყანაც  
 და თავათაც გადბოგოს, ან და გაჭრეს სამუდამად? ან  
 ხომ არ უნდა დაღუღუნდეს სულ სხვა ნაირად და მსი-  
 რულად, აბობაღეს ქვეყანას, აღორძინებდეს და ამცნებ-  
 დეს-სიცოცხლეს, ამკავებდეს ბედნიერებას. ფუი, გამ-  
 შორდით ტკბილო სიზმრებო! მე ხომ უიმედო სიყუ-  
 რულით არა ვარ შეუკრებული, რომ ტკბილი სიზმრე-  
 ბით ტკბებოდეს კრული გული. მე ის მიკვირს, რატომ  
 არა ქრება ის ცუცხლი კაცის გულში, რომ მუდმივ ანთია,  
 დასწყველა ღმერთმა, რას აბობებენ და უჭმურთუებენ ამ  
 ცუცხლსა, ცალკე ის ძვლები კრავას ტყვეში, ცალკე ეს  
 ბებრუცუნა ანანკე, თითქო რომაელებისათვის ინსანგ-  
 ვესტალები სამღვთო ცუცხლსაო? აი რა ნაირად ექებენ  
 პასუხს ამ კითხვებზე. დატყუარებულს წიგნებსა შლის  
 ერთი მათგანი. ექებს და ექებს ამ დღევ; ჩაჭკირებებს  
 წიგნებსა, თითქო ვრუხა წიწილებსა სჩეკვსო. გამოჩი-  
 ვიდეუ ნამრთი: პირველი, მკოკე. ტომარტის იმედი  
 ჰქონდა საცოდავს და ის გიარა თუ იმ ორსვე გადაჭედა  
 თანა. წაიღო თან გიჟთა ციფ სამარკში, შავს მიწში,



თავის ღმრთი ფიქრები. მიწად უნდა შესჯამოს და გამოს-  
 წას იმისი ჭსრებოთი მთაფისფრად თავი. ავი, ისევ  
 ტანჯვა, ისევ ბრძოლა. უნდა გენახათ ის საცოდავი  
 უკანასკნელს უამს, უნდა გენახათ იგი ჭკუჭათ ჩავარდნი-  
 ლი, როგორ სხველებდა თავის წიგნებზე წერისა და გი-  
 თისის დროს, რა ნაღვლიანი გამოსატყულება ჭქონდა  
 იმის თვალებს მოკამყამე წამომჯდარს წარბებს ქვეშ. რა  
 გულ ამოკვნით იმხდა სუსტის, ნაზის ხმით საწეცვლზე:  
 წიგნო, ჩემო წიგნო, როდის გაგათავო! წვიდა გქელს  
 სოფელში და ვერ გი გაათავა. ვერც იმ ცეცხლის მიზეზი  
 იზოვნა, კაცის გულში რომ მუდმივ ანთია და დრო გა-  
 მოშვებით დაიბღვრიალებს სოფელი,  
 . . . . . აი ეს მეორეც თავ-  
 დიდობს. ამას უნდა გაიგოს შემდეგში როდის დაიბღვ-  
 რიალებს ის ცეცხლი, რომ ხალხის ღორღავს მოკრიდე-  
 ბული ვიყვითო. დასე რანაირად აწეობს ციფირებს,  
 თითქო შროგრესებს ადგენს.  
 . . . . .

...—**მომეტო განიო!** იმხის მე-  
 სმე გიფი—**რე წავშლი მავ მანი, რეკელ, ფარესსა.**  
 რას გეშინიანთ, თქვე გლახებო, მამე აქაო; გაშალეთ  
 დროშა და აღმართეთ ამ ზედ წარწერით სხვილ ასო-  
 ბით: **გრედიტი, ბანკი, ურთიერთაწისი თავდებობა,**  
**ამხანაგობა, გოგონაგობა.** აი შსამი უკბილო ბებრეტუნა  
 ანანკესათვის, აი ოკეანე, რომელმაც უნდა ჩანთქას და  
 გაქროს ის ცეცხლი კაცის გულშია, რომ მუდმივ ანთია  
 და ზოგს მოსვენებას არ აძლევსო. აი გიდეგ სხვა სუ-  
 ლელი ამას ეჩხუბება, დროშა მიუფხრწი-მოუფხრწია, ცო-  
 ცხლი ჩაქვავა და დამარხა. რას სხადის ეს უსჯულდო  
 ურთა, რაზე ჭკლავს კაცსა, რაზე აქვავებს, ხალხსაც უს-  
 რიან იმის ჩაქვავება.... ტაშს უგრავს ურთისა და უშეკლე-  
 ბელს ბარაქვას დასძახის. უიდე, ამასაც ხელი სტაცეს;  
 წიფუნეს.... მიჭყვით.... ჭკლავენ.... ახრჩობენ.... რა უნდათ  
 ამთა, ვინ არიან ესენი? ვის რა ენაღვლება, ამან ხალხი  
 გახაროს, მოატყუოს, იმედი მისცეს, აღტაცებითი ქა-  
 დაგება უთხრას. რა ნაიკად ბრახობს ხალხი, ნაღველი  
 უსწდება ჯავრით და ბოლი ამოხდის. სისხლზე დგება...  
 მიხობს, უნდა წაართვას თავის სუფარელი.... არ ანებე-  
 ბენ.... გიდეგ ჩხუბობენ.... ვაი, ვაი! სისხლია ოღვრება!  
 რა უბედურებაა!!!!

ასე დაწეო როტვა ერთმა ჭკუაზე შემდგარმა  
 უმწილიმა, როცა შევედი იმასთან საჯათყოფაში წა-  
 სუყვანად და სახატროხად. ზირკლად ვსვდავდი ამ მდგო-  
 მარობაში ჩემს კაი ნაცრობს და სუფარელს მეგობარს,  
 გარემოებების გამე ამ ყოფაში ჩავარდნილს. იმის  
 როტვის დროს თავჩაქინდრული ვიყავი და ურთს ვუბდე-  
 დი; უნებურად გამიტაცა ამ გიფის თავისებურება მოლან-  
 დებაში. საწყალი . . . . ., რამ გააგიფა ისრე ძრიელ—  
 ვიფარობდი მე რამდენიმე ხანი—ნეტა ვიცოდეთ მინც  
 ბეჭითად, რისგან გაგიფა. ჭსრებმა გააგიფა, თუ უიმე-  
 ლო სიუფარულმა. ათას რამეზე არა ღამარავობდა! ის  
 ბოჯლის სიტყვები რაღათ მოჭყვავა: **წიგნო, ჩემო წიგ-**  
**ნო, როდის გაგათავო.** ის ციფირები რაღა იყო?  
 გერწინისის თხზულებიდან ჩაჩხა უთუფდ ხსოვნაში. სა-  
 წყალი ის ურთა ვილა იქნებოდა, ხალხი, რომ მიშველებია.  
**По всей вероятности онъ помѣшался на идеѣ**  
**борьбы, которую пронинута вся органическая**  
**жизнь, მითხრა მე ღმრთა ამოხსენის შემდეგ, ნიშნად**  
**თანაგრძობისა, ერთმა ახალგაზდა ფისიანტრამა რომელ-**  
**საც მე შევსვდი ერთს რუსეთის ქალაქში, და რომელსაც**  
**გუამდე ეს თავგადსავალი საწყალის და საცოდავის ემეწ-**  
**ვილი კაცისა ამ ჩემს საწყალს და საცოდავს სა-**  
**ქართველშია. ნეტა დიდხანს გასტანს ეს გულ-**  
**გრილი და ბეჩაქართველური უზრუნველობა შესასებ ახ-**  
**ლის თაობის აღზრდისა, რომელსაც არ შეუძლიან რიგია-**  
